პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი, 1942 წ. № 244 (6560). ფასი 15 კაპ.

ომიანობის დროის აგიტატორი

აგიტატორთა არმია სამამულო ომის დღეებში ახალი ადამიანებით შეივსო. ბევრი მათგანი პირველად დადგა ამ საპატიო მოვალეობის წინაშე. მათ შეგნებული აქვთ ის პასუხისმგებლობა, რომელიც აგიტატორს აკისრია, განსაკუთრებით ახლა, ჰიტლერული ხროვის წინააღმდეგ ჩვენს წმინდა, განმათავისუფლებელ სამამულო ომში. ბევრი ახლადგამოყოფილი აგიტატორი წარმატებით დაეუფლა თავის მოვალეობას. მათი მგზნებარე, მართალი და გულწრფელი სიტყვა აღელვებს, შთააგონებს მსმენელებს, ნათლად განუმარტავს ჭეშმარიტებას, მკაფიოდ აცნობს ჩვენი ქვეყნის საშინაო ცხოვრების აქტუალურ საკითხებს, სამამულო ომის მიმდინარე მომენტებს, საერთაშორისო მდგომარეობას. ცოტა როდია ისეთი აგიტატორი, რომლებმაც გამონახეს მიმზიდველი ფორმები, თუ როგორ უნდა გადასცენ აუდიტორიას ახალი ამბები, როგორ უნდა დააინტერესონ იგი და აღაფრთოვანონ შრომითი მამაცობისათვის, ფრონტის დასახმარებლად. ასეთ აგიტატორთა რიცხვი განუწყვეტლივ უნდა იზრდებოდეს, მათ ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ ამ უაღრესად საპატიო მოვალეობის შესრულებაში.

მაგრამ იმისათვის, რომ მასებმა მოგისმინონ, დაგიჯერონ და გაგიგონ, როდი კმარა მარტოოდენ გულწრფელობა, მღელვარე სიტყვა, ცეცხლოვანი ტონი. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, საჭიროა. მაგრამ იმისათვის, რომ მგზნებარე ბოლშევიკური აგიტაციის მართალი სიტყვები გულის სიღრმემდის მიაწვდინო მსმენელებს, საჭიროა დაუფლებული იყო აგიტაციის ხელოვნებას. ომიანობის დროის აგიტატორი მთელი არსებით უნდა მიისწრაფოდეს, რომ დაეუფლოს ამ მეტად სასარგებლო და საჭირო ხელოვნებას.

ზოგიერთი ამბობს: „მე ორატორი ვერ გავხდები, მეტყველება არ მივარგაო". ეს არ არის სწორი შეხედულება. ასეთ ადამიანებს ჩვენ უნდა ვუთხრათ, რომ სავსებით შესაძლებელია დაეუფლო ლაპარაკს, თუ მოისურვებ და, რაც მთავარია, დაჟინებით ისწავლი. ტყუილად კი არ ამბობდა ძველი დროის ერთ-ერთი ორატორი: „პოეტებად იბადებიან, ორატორებად კი ხდებიან". რა თქმა უნდა, აქ მარტო სურვილი და მონდომება არ სწყვეტს საკითხს, უნარზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგრამ უნარი თუ არ განავითარე, ნიჭი არ ავარჯიშე, არ ისწავლე, — არაფერი გამოვა.

დიდია ბოლშევიკური აგიტაციის, მასობრივი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის როლი და მნიშვნელობა ახლა, ომის დღეებში. დიდია მართალი სიტყვის ძალა. ქარი მთებს ანგრევს, სიტყვა კი მასებს ამოძრავებსო, — ამბობს ხალხი. ხშირად სიტყვა უფრო მაგრად სჭრის, ვიდრე იარაღი. მამაცური სიტყვა გულს ამაგრებს, მას გამარჯვება მოაქვს მძიმე მომენტებშიც კი, როგორც ბრძოლაში, ისე შრომის ფრონტზე. ეს ბასრი იარაღი ხელთ უპყრია აგიტატორს. ამიტომ პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა ყოველნაირად დაეხმარონ და ხელი შეუწყონ აგიტატორებს ამ ბასრი იარაღის მთელი არსენალის ქმედითად, უნარიანად გამოყენებაში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველომ წინადადება მისცა პარტიის საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს უახლოეს ხანში შეარჩიონ 10-15 საუკეთესო შტატგარეშე აგიტატორი, რომლებიც წარმატებით გამოდიან მოსახლეობაში, და დაეხმარონ მათ სრულყოფილად დაეუფლონ ბოლშევიკური აგიტაციის ხელოვნებას. ასეთივე ჯგუფები 7-10 კაცის რაოდენობით უნდა შეიქმნას ყველა რაიკომთან და საქალაქო კომიტეტთან. მათთვის მოეწყობა სისტემატური მეცადინეობა, რომლის პროცესში, სხვა თემებთან ერთად, გავლილი იქნება ორატორული ხელოვნების ელემენტარული საფუძვლები. პირველ რიგში საჭიროა ვისწავლოთ, თუ როგორ მოვემზადოთ საჯარო გამოსვლებისათვის, დავეუფლოთ სიტყვის ტექნიკას და ა. შ. ეს ხელს შეუწყობს ბოლშევიკი ორატორების, ბოლშევიკი აგიტატორების ახალი კვალიფიციური კადრების აღზრდას, მათ მომზადებას და მკვეთრად გააუმჯობესებს აგიტაცია-პროპაგანდის საქმეს.

არ კმარა საწარმოო დაწესებულებებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ვატარებდეთ აგიტაციას. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, აგიტაცია ამასთან ერთად ფართოდ უნდა იყოს გაშლილი რაიონულ, საქარხნო პარკებსა და ბაღებში, საერთო საცხოვრებლებში. ბაღებსა და პარკებში კვალიფიციური აგიტატორები, კონსულტანტები და მომხსენებლები იმ მიზნით ატარებენ პოლიტიკურ მუშაობას, რომ მასებს გააცნონ საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების უკანასკნელი ამბები. აქვე საჭიროა მთელი ძალით იყოს გაშლილი თვალსაჩინო აგიტაცია, რომელიც მასებს შთააგონებს ყველაფერი გააკეთონ ფრონტისათვის, გმირი წითელი არმიის დასახმარებლად.

პარტიულმა ორგანიზაციებმა სისტემატურად, ოპერატიულად უნდა უხელმძღვანელონ აგიტაცია-პროპაგანდის მთელ ქსელს. კარგად მოიქცა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, რომელმაც აქტივის სხდომაზე სპეციალურად განიხილა სამამულო ომის დღეებში პოლიტიკური აგიტაციის საკითხი. ასევე კარგად მოიქცა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომი, რომელმაც რაიკომის პლენუმზე მოისმინა საკითხი პოლიტიკური აგიტაციის დაყენების შესახებ ქუთაისის რაიონში. მაგრამ მარტოოდენ საკითხის განხილვა როდი კმარა. საჭიროა მიღებულ გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად განხორციელებისათვის ყოველდღიური ზრუნვა, პირველადი პარტორგანიზაციების მხრივ აგიტატორებისადმი დახმარება-ხელმძღვანელობის გაძლიერება და, რაც მთავარია, ბოლშევიკური აგიტაციის მთელი არსენალის ამოქმედება ომიანობის დროის შესაფერისად.

ამასთან ერთად, აგიტატორი ყოველდღე თვითონ უნდა სწავლობდეს, იმაღლებდეს ცოდნას, ემზადებოდეს აგიტაციის ჩასატარებლად. იგი მთელი არსებით უნდა ეუფლებოდეს ორატორულ ხელოვნებას, იმ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც ბოლშევიკური აგიტაციის არსენალში დაგროვდა. დიდი **ლენინის**, დიდი **სტალინის** ორატორული ხელოვნების შესწავლა ჩვენს აგიტატორ-პროპაგანდისტებს აძლევს უდიდეს ძალას მიიზიდონ აუდიტორია, თავიანთი პოლიტიკური სიტყვები გახადონ სახეებით, შედარებებით, ისტორიული პარალელებით მდიდარი, დაეუფლონ ლოგიკას მეტყველებაში, უბრალოებას და გარკვეულობას დასაბუთებაში. ჩვენი პარტიის მგზნებარე ტრიბუნები კიროვი, ორჯონიკიძე, სვერდლოვი და სხვ. თავიანთი შთამაგონებელი, პოლიტიკურად გაჯერებული, მართალი, მგზნებარე აგიტაციით აღაფრთოვანებდნენ მასებს უდიდეს ისტორიულ ამოცანათა შესასრულებლად, უმძიმეს გადამწყვეტ მომენტებში, როცა დამარცხება თითქოს გარდუვალი იყო, ისინი მასებს ბოლშევიკური ცეცხლოვანი სიტყვებით დასძრავდნენ წინ და გამარჯვებას აღწევდნენ. ასეთია მართალი ბოლშევიკური აგიტაციის უძლეველი ძალა!

აგიტაცია დიდი ძალაა და სამამულო ომის ვითარებაში ფრონტის, ზურგის ყოველ უბანზე მთელი არსებით მის ამოქმედებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. მართალ, მგზნებარე აგიტაციას ბრძოლაში არა მარტო მივყევართ, მას გამარჯვება მოაქვს. მოსკოვის დაცვის დღეებში, როცა 28 პანფილოველი მარტო დარჩა 50 ტანკის წინააღმდეგ, პოლიტხელმა კლოჩკოვ-დიევმა უმაგალითო ბრძოლის წინ ასე მიმართა თავის გმირ მებრძოლებს: „მეგობრებო, რუსეთი დიდია, მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ არის. ჩვენს უკან მოსკოვია". ეს სიტყვები სამკვდრო-სასიცოცხლო წუთებში მებრძოლთა გულს ცეცხლოვან მოწოდებად დაეწერა. მათ უკან არ დაუხევიათ, ყველანი გმირის სიკვდილით დაიღუპნენ, მაგრამ ფაშისტთა ტანკები გაანადგურეს და მტერს მოსკოვისაკენ გზა გადაუღობეს.

ასე მიჰყვებიან მასები მგზნებარე მებრძოლ აგიტატორებს ფრონტზე გამარჯვების მოსაპოვებლად!

როცა საწარმოში რაიმე დაბრკოლება იჩენს თავს, აგიტატორი მუშებს რაზმავს და პირადად უჩვენებს მაგალითს, თუ როგორ უნდა გადავლახოთ სიძნელეები. აგიტატორის მგზნებარე სიტყვა ცოცხალ საქმედ იქცევა. მოწინავე აგიტატორი ამავე დროს საწარმოს მოწინავე მუშაკია. მას ენდობიან და მიჰყვებიან მასები. არ შეიძლება აგიტატორი საწარმოში გეგმებს არ ასრულებდეს, თვითონ არ იყოს მოწინავე. აგიტატორის სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს. მაშინ მას, მის სიტყვებს მეტი ძალა აქვს. მაშინ მას ყველა პირობა აქვს სხვასაც მოუწოდოს იყოს მოწინავე, გადაჭარბებით შეასრულოს გეგმები.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ მასალას „ორატორული ხელოვნების შესახებ". მისი მიზანია დახმარება გაუწიოს აგიტატორებს, თუ როგორ შეიძლება ვისწავლოთ ლაპარაკი, როგორ უნდა ვემზადოთ საჯარო გამოსვლისათვის, რა უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი მოხსენება, ჩვენი საუბარი ნათელი, გასაგები, მიმზიდველი და ნამდვილად შთამაგონებელი იყოს მასებისათვის. ომიანობის დროის აგიტატორები საჭიროა დაეუფლონ სიტყვის, მეტყველების ტექნიკას. მაშინ კიდევ უფრო გაიზრდება მათი სიტყვის ძალა, რაც ხელს შეუწყობს მასების შემდგომს მჭიდროდ დარაზმვას, გერმანელ ოკუპანტებზე ჩვენი მართალი საქმის გამარჯვებას.

წითელ არმიაში სრული ერთმმართველობის დაწესებისა და სამხედრო კომისართა ინსტიტუტის გაუქმების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულების სამხედრო-საზღვაო ფლოტზე გავრცელების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოქმედება 1942 წლის 9 ოქტომბრის თავისი ბრძანებულებისა წითელ არმიაში სრული ერთმმართველობის დაწესებისა და სამხედრო კომისართა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ გაავრცელა სამხედრო-საზღვაო ფლოტზე.

ამის შესაბამისად, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყველა ხომალდზე, ქვეგანაყოფებსა, ნაწილებსა და შენაერთებში, შტაბებსა, სამხედრო სასწავლებლებსა და დაწესებულებებში შემოღებულ იქნება ინსტიტუტი მეთაურთა მოადგილეებისა პოლიტიკურ ნაწილში.

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და ავსტრალიას შორის

სსრ კავშირისა და ავსტრალიის მთავრობებს შორის წარმოებული მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება სსრ კავშირსა და ავსტრალიას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და დესპანთა გაცვლის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ა. პ. ვლასოვი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად ავსტრალიაში.

ავსტრალიის მთავრობამ ბ-ნი ვილიამ სლეიტერი დანიშნა ავსტრალიის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად სსრ კავშირში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

13 ოქტომბრის დილის ცნობა

12 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში და **მოზდოკის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ნაწილები იგერიებდნენ მტრის იერიშებს. გერმანელთა ქვეითი ჯარი ცდილობდა გამოჭრილიყო ერთ-ერთი ჩვენი ქარხნისაკენ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ჰიტლერელთა იერიში მოგერიებულია. მოსპობილია 250-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ნ ნაწილის მებრძოლები ღამით მტრის განლაგებაში შეიჭრნენ, გასწყვიტეს 60 ჰიტლერელი, მოსპეს 2 ქვემეხი, 5 ტყვიამფრქვევი და რადიოსადგური. გერმანელებს წაართვეს 2 ნაღმსატყორცნი, 6 ტყვიამფრქვევი და 20 ავტომატი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ტანკისტებმა დააზიანეს გერმანელთა 3 ტანკი, მოსპეს 5 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და გასწყვიტეს მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა კონტრიერიში და ამასთან გასწყვიტეს 80 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

მოზდოკის რაიონში ბრძოლები გრძელდებოდა. ერთ უბანზე ჩვენმა ნაწილებმა რამდენადმე წინ წაიწიეს. მოწინააღმდეგეს კონტრიერიშები მოაქვს ქვეითი ჯარის მცირე ჯგუფებითა და ტანკებით. ამ ბრძოლების მსვლელობაში ნ ნაწილის მებრძოლებმა გასწყვიტეს 250 ჰიტლერელი და დააზიანეს გერმანელთა 4 ტანკი. წითელი არმიის მხარეზე ნებაყოფლობით გადმოვიდა 21 გერმანელი ჯარისკაცი. საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში თავდაცვის წინა კიდეზე ჩამოაგდეს გერმანელთა 8 თვითმფრინავი.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარის ძალით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე, რომლებსაც იცავდნენ ქვეგანაყოფები ამხ. სმირნიკოვის მეთაურობით. ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელებს ყველა სახის იარაღის ცეცხლი შეახვედრეს. მტრის იერიში მოგერიებულ იქნა. ბრძოლის ველზე დარჩა 400-მდე გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენი სნაიპერების, მზვერავი ჯგუფების აქტიური მოქმედებით, საარტილერიო და სანაღმსატყორცნო ცეცხლით ორი დღის განმავლობაში გაჟლეტილია მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპობილია 8 დაზგის ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ნაღმსატყორცნი, დანგრეულია მტრის 25 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი.

* * *

ლენინგრადის პარტიზანთა ჯგუფი უეცრად დაესხა თავს მტრის ალალს. პარტიზანებმა გასწყვიტეს 34 გერმანელი ჯარისკაცი და მოსპეს სამხედრო ტვირთები.

* * *

იტალიელთა ქვეითი დივიზიის „პასუბიო რომან" 79-ე პოლკის მე-7 ასეულის ტყვე ჯარისკაცებმა იპოლიტო კოველიმ და ალდო კოზელიმ განაცხადეს: „ჩვენ აგვისტოში მოვედით ფრონტზე შევსების შემადგენლობაში. ძველი ჯარისკაცები გვეუბნებოდნენ, დივიზიას დიდი ზარალი მოუვიდაო. მაგალითად, მე-7 ასეულში სულ 7-8 ჯარისკაცი დარჩა. აგვისტოში მან ორჯერ მიიღო შევსება. მარტო ორი დღის ბრძოლების დროს ასეულმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 60-ზე მეტი კაცი დაჰკარგა. ბევრი იტალიელი ჯარისკაცი აღშფოთებულია იმით, რომ შავხალათიანები იტალიაში სხედან, ჩვენ კი დასახოცავად მოგვერეკებიან. შავხალათიანებს მუსოლინი ხალხის მღელვარების ჩასაქრობად ინახავს. ამას წინათ იტალიაში სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა ფრონტზე მიმავალ ალპიური ნაწილის ჯარისკაცებსა და შავხალათიანებს შორის. მატარებლის წასვლის წინ ალპიელი მსროლელები გარსშემოერტყნენ და სცემეს ვაგზალზე მყოფ შავხალათიანთა ჯგუფს. ხელჩართულ შეტაკებაში მოკლულ იქნა 9 შავხალათიანი".

* * *

სმოლენსკის ოლქის სოფელ პეტროვკის მცხოვრებლებმა სექტემბრის დამლევს გერმანელთა კომენდანტის ბრძანება მიიღეს—ორი დღის განმავლობაში ჩააბარეთ კომენდატურას 10 ქურქი, 5 ტყაპუჭი და 40 წყვილი თექჭურაო. გლეხებმა გადაჭრილი უარი სთქვეს გერმანელთა არმიისათვის თბილი ნივთების ჩაბარებაზე. ორი დღის ვადის გასვლის შემდეგ სოფელში მოვიდა დამსჯელი რაზმი და სისხლისღვრა მოაწყო. ობერლეიტენანტ ბიურენის ბრძანებით ფაშისტმა არამზადებმა 27 კოლმეურნე შეიპყრეს და დახვრიტეს ისინი. დახვრეტილთა შორის არიან 64 წლის ივანე ექვთიმეს-ძე საზონოვი, 57 წლის თევდორე თევდორეს-ძე ცვეტკოვი, 44 წლის ანა მიხეილის-ასული კაპუსტინა, 19 წლის ელენე ნიკოლოზის-ასული გრადოვა და სოფლის სხვა მცხოვრებნი.

* * *

ოსლოში (ნორვეგია) თითქმის ყოველდღე ხდება შეტაკებანი ნორვეგიელ პატრიოტთა და გერმანელ ოკუპანტთა შორის. 29 სექტემბერს ქალაქის გარეუბანში მოკლულ იქნა 6 გერმანელი ჯარისკაცი. 2 ოქტომბერს დღისით ხალხით სავსე ერთ-ერთ ქუჩაში უცნობმა ჭაბუკმა ტყვიით მოჰკლა გერმანელი ოფიცერი. მსროლელი მიიმალა.

13 ოქტომბრის საღამოს ცნობა

13 ოქტომბრის განმავლობაში ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენმა ჯარებმა დაიბრუნეს წინა დღით დატოვებული პოზიციები ქალაქის ერთ-ერთ უბანში. სხვა უბნებზე არტილერიისა და ნაღმსატყორცნების სროლა იყო ორივე მხრივ. ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 3 ტანკი, 3 საარტილერიო და 16 ნაღმსატყორცნი ბატარია, დანგრეულია 10 მიწური საცეცხლე წერტი და გაწყვეტილია გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წინანდელი პოზიციების დაცვას და ცალკეულ უბნებზე დაზვერვას ეწეოდნენ. ნ ნაწილის გვარდიელებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა კიდეზე, რამდენადმე შეავიწროვეს გერმანელები და მოსპეს ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 16 ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი ბატარია და 8 ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად. მზვერავთა ჯგუფმა ასეულის მეთაურის მოადგილის პოლიტიკურ ნაწილში ამხ. კულიკის მეთაურობით ერთ მაღლობზე აღმოაჩინა მტრის კარგად შენიღბული მიწური საცეცხლე წერტები. ორი გულადი წითელარმიელი შეუმჩნევლად მივიდა ერთ-ერთ მიწურთან და გრანატები დაუყარა მას. იქ მყოფმა რუმინელებმა პანიკურად იწყეს სიმაგრეებიდან გამოვარდნა. ჩვენმა მზვერავებმა ცეცხლი გააჩაღეს და მტრის 20 ჯარისკაცი დახოცეს.

* * *

მოზდოკის რაიონში გერმანელთა ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი ტანკებისა და ავიაციის დახმარებით ცდილობდა ჩვენს პოზიციებზე იერიშის მიტანას. ნ ნაწილის მებრძოლებმა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით შეაჩერეს ჰიტლერელები, შემდეგ კი პირვანდელ მდგომარეობაში უკუაგდეს. ამ ბრძოლაში გერმანელებმა მოკლულთა სახით 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. დაზიანებულია მტრის ერთი ტანკი, მოსპობილია 3 ქვემეხი, 2 ნაღმსატყორცნი და 6 ავტომანქანა. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დავლა.

* * *

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით წითელფლოტელებმა ამხ. კრავჩენკოს მეთაურობით მოიგერიეს მტრის იერიში და გააუმჯობესეს პოზიციები. ამ ბრძოლის მსვლელობაში დახოცილია რუმინელთა ორი ასეული და დაზიანებულია მტრის 3 ტანკი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე გერმანელებმა იერიში მოიტანეს ჩვენი ქვეგანაყოფების პოზიციებზე. საბჭოთა მებრძოლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიშები და გასწყვიტეს 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ ტანკი, 5 ტყვიამფრქვევი, შაშხანები და საომარი მასალა.

* * *

მოგილიოველ პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 46 ვაგონისაგან შემდგარი სარკინიგზო ეშელონი. მარცხის დროს მოსპობილია 11 ტანკი, 16 ავტომანქანა, 2 საზენიტო ქვემეხი და მოკლულია 100-მდე ჰიტლერელი.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა ფინელთა მე-3 ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცმა ვაინე ლ-მ განაცხადა: „ფინელი ხალხი დაიღალა ომისაგან. ბევრს ესმის, რომ ომიდან გამოსვლა შეუძლებელია მანამდე, სანამ გერმანელებს ფინეთიდან არ გარეკავენ. მოსახლეობას არ უყვარს გერმანელები. ისინი ფინეთში თავხედურად იქცევიან, ძალადობას ხმარობენ და რყვნიან ფინელ ქალებს, რომელთა ქმრებიც ფრონტზე იმყოფებიან. ჯარისკაცები მუდამ მზად არიან სცემონ გერმანელებს. ამას წინათ დიდი ჩხუბი მოხდა ქალაქ ტურკუში. ერთმა გერმანელმა უნტეროფიცერმა ფინელ ჯარისკაცებს მოსყიდული მეომრები უწოდა. გაიმართა ჩხუბი, რომლის დროსაც იარაღი იხმარეს. ამ ჩხუბში მოკლულ იქნა 3 გერმანელი და რამდენიმე კაცმა სერიოზული ჭრილობა მიიღო".

* * *

პოლონელმა პატრიოტებმა 8 ოქტომბერს ვარშავის მახლობლად ააფეთქეს რკინიგზის ლიანდაგი დასავლეთის ვაგზლის ახლოს, პლუდში და სხვა პუნქტებში. მატარებელთა მიმოსვლა შეჩერებული იყო. გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა, მიუხედავად ყოველგვარი ძიებისა, ვერ მოახერხეს გამორკვევა, თუ ვინ მოახდინა რკინიგზის ლიანდაგის აფეთქება.

უკანასკნელი ცნობები

ჩან კაი-შის მიმართვა ჩინელი ხალხისადმი

ჩუნცინი, 12 ოქტომბერი (საკდესი). ჩინეთის რესპუბლიკის 31-ე წლისთავის გამო ჩან კაი-შიმ ჩინელს ხალხს მიმართა მოწოდებით, რომელშიც აღნიშნა რესპუბლიკის დაარსების დღიდან მიღწეული წარმატებანი. ლაპარაკობს რა ჩინეთის ამოცანებზე ამ ქვეყნის მიერ წარმოებულ ომში, ჩან კაი-ში აცხადებს, რომ „ჩინეთს არა აქვს ეგოისტური ინტერესები, ე. ი. ერთი ერის მეორეზე ბატონობის ინტერესები. წინააღმდეგ ღერძის ქვეყნების მისწრაფებისა—დაიმონონ სხვა ხალხები, ჩინეთი იბრძვის იმისათვის, რომ ყველა ერს, კანის ფერისა და რასის დამოუკიდებლად თანაბარი შესაძლებლობანი მიენიჭოს".

ილაპარაკა რა სუნ-იატ-სენის სამ პრინციპზე (ნაციონალიზმი, ხალხის მმართველობა და ხალხის კეთილდღეობა), ჩან კაი-შიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნაციონალიზმის პრინციპი ახლანდელ ეტაპზე განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, რამდენადაც ჩინელი ერის არსებობა საფრთხეშია.

შეეხო რა ჩინეთის რეკონსტრუქციისა და მობილიზაციის კანონის შესრულების საკითხს, ჩან კაი-შიმ განაცხადა, რომ ნაციონალური აღორძინებისათვის ჩინელი ხალხი მზად უნდა იყოს სიძნელე და გაჭირვება გადაიტანოს.

საბჭოთა პარტიზანები შიშის ზარსა სცემენ ჰიტლერელ დამპყრობთ

სტოკჰოლმი, 13 ოქტომბერი (საკდესი). ჰიტლერულ პრესას არ ძალუძს დამალოს პარტიზანული მოძრაობის ზრდა ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში. ჰიტლერელ სამხედრო კორესპონდენტთა სტატიები, რომლებიც ამ რაიონებიდან იგზავნება, გამსჭვალულია შიშით სახალხო შურისმგებელთა წინაშე, რომლებიც თავდადებულ და ულმობელ ბრძოლას ეწევიან ოკუპანტებთან.

ჰიტლერული გაზეთის „მინსკერ ცაიტუნგის" სამხედრო კორესპონდენტი სწერს: „ბრძოლა საბჭოთა პარტიზანებთან სწარმოებს ტყეებსა და ჭაობებში ცალკეული სარკინიგზო შტოების გარშემო. პარტიზანები განუწყვეტლად ცდილობენ ააფეთქონ გზები, რელსებსა და ხიდებს ქვეშ ჩადონ ნაღმები, გადასჭრან ტელეგრაფის მავთულები, თავს დაესხან მატარებლებს, გააფუჭონ სიგნალიზაცია და თავს დაესხან სადგურებსა და ხიდებს. პარტიზანთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობენ „სს"-ელთა ჯარები და ავიაცია. ტყეები რკინიგზის ლიანდაგის ორივე მხარეზე გაჩეხილია იმისათვის, რომ გერმანელთა სარკინიგზო პერსონალს შეეძლოს თვალყური ადევნოს მიდამოს. მიუხედავად ამისა, პარტიზანები ხშირად ახერხებენ რკინიგზების დაზიანებას. ორთქლმავლები ლიანდაგიდან ვარდება, საფარებიდან ვაისმის სროლა, ღუპებიან გერმანელი რკინიგზელები, ფეთქდება ორთქლმავლები. ღამით მატარებლები იძულებული არიან უსინათლოდ და უსიგნალოდ იარონ. პარტიზანული ომი ულმობლად სწარმოებს".

აი როგორ აღწერს ჰიტლერული გაზეთი „ვილნაერ ცაიტუნგი" ჰიტლერელთა ჯარების შესვლას მათ მიერ დაპყრობილ საბჭოთა ქალაქში: „ქალაქი დაკავებულია. არმიას პოლიცია მიჰყვება. გარშემო დედამიწა ზანზარებს და ბეტონის გიგანტური შენობა ჰაერში ვარდება. ეს ჯოჯოხეთის მანქანამ გააკეთა თავისი საქმე. პოლიცია იწყებს ქალაქის გაწმენდას. მისკენ მიმავალი ყველა გზა ბლოკირებულია, ქალაქში და იქიდან არავის უშვებენ. ყველა საეჭვო პირს აპატიმრებენ. აქ, ქალაქში, ისინი მარტო „უვნებელ" ქვეითებად გვეჩვენებიან. ქალაქ გარეთ კი მთელ რაზმებს ჰქმნიან. მათ ულმობლად უსწორდებიან. ყველა მამაკაცი რეგისტრირებულ უნდა იქნას. ისინი კი, ვისაც არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ მუდმივად ქალაქში ცხოვრობს, ქალაქიდან იგზავნებიან. ღამით ვილაც აფეთქებს ყველა ხიდს. დროებით ხიდს მესაბოტაჟეებისაგან მუდამ პოლიცია იცავს. პოლიციის მთავარი ამოცანაა გაწმინდოს ზურგის რაიონები, ამასთან ხშირად უხდება სასტიკი ბრძოლების წარმოება პარტიზანებთან თითოეული ქუჩის, თითოეული მოედნისა და თითოეული სახლისათვის".

გერმანელ ჯარისკაცებს ეშინიათ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაგზავნისა

სტოკჰოლმი, 13 ოქტომბერი (საკდესი). ნორვეგიიდან აქ მიღებული ცნობებით, ასობით გერმანელი ჯარისკაცი, რომლებმაც განაცხადეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე არ წავალთო, მოთავსებულია ჩრდილოეთ ნორვეგიის საკონცენტრაციო ბანაკებში. ერთ ბანაკში დახვრეტილია ყოველი მეექვსე ჯარისკაცი. ყველა დანარჩენ ბანაკში დახვრეტილია ყოველი მეათე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გერმანელი ჯარისკაცები ნორვეგიაში სხვადასხვანაირ საშუალებებს მიმართავენ, რათა თავიდან აიცილონ სსრ კავშირის წინააღმდეგ ფრონტზე გაგზავნა. ამ ფრონტის შიში იმდენად დიდია, რომ ბევრმა ჯარისკაცმა, რომელსაც იქ გაგზავნა მოელოდა, თავი მოიკლა. აღმოსავლეთ ნორვეგიის ქალაქებზე მიდიან მატარებლები, რომლებითაც მიჰყავთ განიარაღებული და წყვილწყვილად დაბორკილებული გერმანელი ჯარისკაცები.

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგის მოწოდების პასუხად

გმირული შრომით გავაძლიეროთ ფრონტისადმი დახმარება

თბილისის მაუდის ფაბრიკის ახალგაზრდა მუშაკთა საპასუხო წერილი

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ახალგაზრდობისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

გაზ. „კომუნისტის" საშუალებით გავეცანით თქვენს წერილს ჩვენი ფაბრიკის ახალგაზრდობისადმი. ჩვენ აღგვაფრთოვანა იმ მიღწევებმა, რომლებიც თქვენ მოგიპოვებიათ ამიერ-კავკასიის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგის მოწოდების პასუხად ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების გაძლიერების მიზნით.

ჩვენი დედა-სამშობლო, ჩვენი საყვარელი მასწავლებელი და მამა, გენიალური მხედართმთავარი ამხანაგი **სტალინი** მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენ, ახალგაზრდებს, მოგვიწოდებენ ზურგში თავდადებული შრომით კიდევ უფრო მეტი და მეტი დახმარება გაუწიოთ ჩვენს ქვეყანას, გმირ წითელ არმიას ვერაგი მტრის — პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურების საქმეში. ჩვენ ამ მოწოდებას საქმით ვუპასუხებთ.

ისე როგორც თქვენ, წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრების გაჩაღებით, ჩვენმა ფაბრიკამ სექტემბრის დავალება გადაჭარბებით შეასრულა, საგრძნობი რაოდენობით დაზოგა მატყლი, დამხმარე მასალა, სათბობი და ელექტროენერგია. კამვოლურმა საამქრომ, რომელმაც წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა სექტემბრის დავალება 105 პროცენტით შეესრულებინა, ფაქტიურად გეგმა 113 პროცენტით შეასრულა, ხოლო საქსოვმა საამქრომ ნაკისრ 102 პროცენტის ნაცვლად დავალება 107,4 პროცენტით გაანაღდა.

ჩვენი ფაბრიკის მრავალი ახალგაზრდა მუშა საწარმოო დავალებათა შესრულების სანიმუშო მაგალითებს იძლევა. მათ შორის გამოირჩევიან ორდაზგოსნები ბ. კოკოლაშვილი, ვ. სარმასოვა, მ. ვოროზიოვა, ა. მთვარაძე, ლ. ასათიანი, აგრეთვე ა. მიქაძე, ქ. ასათიანი, ზეინკლები ა. მთვრალაშვილი, ვ. პოპოვი და სხვ.

მაგრამ მოპოვებული წარმატებანი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ამიერ-კავკასიის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგის მოწოდების პასუხად კიდევ უფრო მეტი ენერგიით, ფრონტული თავდადებით ვიმუშავებთ წითელი არმიის ზურგის განსამტკიცებლად, ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების გასაძლიერებლად. ჩვენ ვიბრძვით ოქტომბერში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის, რათა სახელოვნად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის XXV წლისთავს.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მასწავლებელსა და მამას, გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს**!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

ფაბრიკის ახალგაზრდობის დავალებით: **ო. მდინარაძე** — ფაბრიკის დირექტორი, **ს. გურგენიძე** — პარტბიუროს მდივანი, **გ. ეგიაზაროვი** — კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, **ბ. კოკოლაშვილი** — ორდაზგოსანი მქსოველი, **ვ. სარმასოვა** — მქსოველი, **ე. ტოლსტოვა** — მქსოველი, **მ. გოგილაშვილი** — გადამხვევი, **აკ. მთვრალაშვილი** — ზეინკალი, სამასოვანი.

სტალინგრადის რაიონში

მოქმედი არმია, 13 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთი გარეუბნის ქუჩებში გრძელდებოდა ჩვენი ნაწილების ბრძოლა ფაშისტ დამპყრობლებთან. ჩვენმა მებრძოლებმა სწრაფი კონტრიერიშით განდევნეს გერმანელები მათ მიერ წინა დღით დაკავებული პოზიციებიდან ქალაქის ერთ-ერთ უბანში.

სასტიკი შეტაკება ხდებოდა საქარხნო რაიონის მისადგომებზე. აქ მაღლობთა ფერდობებზე ყუმბარებით გადათხრილ და ხანძრებით გადამწვარ მიწაზე გაქვავდა გერმანელთა ასობით დაზიანებული და დამწვარი ტანკი. ეს ტერიტორია გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა უზარმაზარ სასაფლაოდ იქცა. ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა ტყის პირას. ჩვენი ქვეგანაყოფის პოზიციებზე იერიში მოიტანა გერმანელთა ქვეითმა ჯარმა, რომელსაც ტანკები ეხმარებოდნენ. საბჭოთა მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის შემოტევა და დიდი ზარალი მიაყენეს მას.

დიდ ზარალს აყენებენ ფაშისტთა ნაწილებს საკანონერო ნავები. საკანონერო ნავების მეზღვაურმა არტილერისტებმა თავისი ზარბაზნების ზუსტი ზალპებით მოსპეს გერმანელთა დიდძალი ტანკი და ქვეითი ჯარი. საკანონერო ნავები ქვემეხების სროლით არაერთგზის იცავდნენ საბჭოთა ქვეითი ჯარის ფლანგებს.

განსაკუთრებული თავდადებულობით ეწევიან საბრძოლო ვახტს ვოლგაზე გადასასვლელების მებრძოლები და მეთაურები. განუწყვეტელ სროლასა და დაბომბვაში ისინი უზრუნველჰყოფენ სტალინგრადის დამცველებს ყოველივე იმით, რაც საჭიროა გერმანელებთან ბრძოლისათვის.

დიდი წარმატებით მოქმედებენ საბჭოთა არტილერისტები. გასული დღე-ღამის განმავლობაში მათ მოსპეს გერმანელთა 3 ტანკი, 19 საარტილერიო და ნაღმსატყორცნი ბატარია, დაანგრიეს 10 მიწური საცეცხლე წერტი და გასწყვიტეს მრავალი გერმანელი.

სტალინგრადის სამხრეთით ნ ნაწილი აქტიურ მოქმედებას ეწეოდა, რომლის შედეგად დაიკავა მტრის დასაყრდენი პუნქტი. ფაშისტების მიერ მოტანილ კონტრიერიშებს წარმატება არა ჰქონდათ.

დ. შჩუკინი

მოზდოკის რაიონში

მოქმედი არმია, 13 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მოზდოკის რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის ტანკებსა და ქვეითს ჯართან.

ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოზდოკის სამხრეთით ნ ნაწილი განაგრძობდა აქტიურ საბრძოლო მოქმედებას, გადალახა მტრის ცეცხლითი წინააღმდეგობა და რამდენადმე წინ წაიწია.

სხვა უბნებზე საბჭოთა მებრძოლები იგერიებდნენ მტრის ყველა იერიშს. ჩვენი ნაწილის წინააღმდეგ გამოვიდა გერმანელთა ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი. მებრძოლები გერმანელებს დამიზნებული ცეცხლით შეხვდნენ. მტრის ჯარისკაცები ჩაწვნენ. მაშინ საბჭოთა მეომრები კონტრიერიშზე გადავიდნენ და ჰიტლერელები პირვანდელ პოზიციებზე უკუაგდეს. ამ ბრძოლაში ფაშისტებმა მარტო მოკლულთა სახით 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მტრის 6 ავტომანქანა, 3 ქვემეხი, 2 ნაღმსატყორცნი და 4 სატყვიამფრქვევო წერტი. იმ ქვეგანაყოფზე, რომლის მეთაურიც არის ამხ. მირონოვი, იერიში მოიტანა ფაშისტთა ბატალიონმა. ქვეითებმა ახლოს მოუშვეს ჰიტლერელები და ყველა სახის იარაღის მიზრჯნითი შეწყობილი ცეცხლით გასწყვიტეს ისინი. მტრის იერიში ჩაიშალა. 100-ზე მეტი ფაშისტის გვამით დაიფარა ჩვენი სანგრების მისადგომები. ამ ბრძოლაში გაბედულად მოქმედებდა წითელარმიელი ტარანი. მეთაურის ნებართვით მან წინ გაიწია შემომტევ ჰიტლერელთა ფლანგზე და ავტომატის ზუსტი ჯერებით 25 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა.

შესამჩნევად გახშირდა ფაშისტ ჯარისკაცთა გადმოსვლა ჩვენს მხარეზე. მარტო ერთი დღის განმავლობაში ფრონტის ერთ-ერთ უბანზე წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა 20 გერმანელი.

გუშინ ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 8 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მტრის ორი მანქანა მოსპობილია აეროდრომებზე.

გ. ოშაროვსკი

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით

მოქმედი არმია, 13 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ფაშისტები განაგრძობენ იერიშების მოტანას საბჭოთა ჯარებზე ხან ერთ, ხან მეორეს უბანზე და ცდილობენ შემოძვრნენ საბჭოთა ქვეგანაყოფების ფლანგებსა და ზურგში. მაგრამ ყველა იერიში ჰიტლერელთა განადგურებით მთავრდება.

ნ ნაწილის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის პოზიციების წინააღმდეგ ჰიტლერელებმა გერმანელთა ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი გამოიყვანეს. ჩვენი მებრძოლები მტერს თოფისა და ტყვიამფრქვევის შეწყობილი ცეცხლით შეხვდნენ. მტერი, რომელიც არ მოელოდა ასეთ წინააღმდეგობას, პირვანდელ მდგომარეობაში უკუიქცა და ბრძოლის ველზე დასტოვა 100-ზე მეტი გვამი, 2 ხელისა და 2 დაზგის ტყვიამფრქვევი, საომარი მასალა და სხვა სამხედრო ქონება.

სხვა უბანზე რუმინელთა დიდი ჯგუფი ცდილობდა გარს შემორტყმოდა ერთ ჩვენს ქვეგანაყოფს და უეცრად დაერტყა მისთვის. მებრძოლებმა სასტიკ შეტაკებაში უკუაგდეს მოწინააღმდეგე. რუმინელებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. წამოღებულია დავლა. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი წითელფლოტელმა ივანოვმა. მტრის ცეცხლში მან თავისი ტყვიამფრქვევი ღია პოზიციაზე გამოიტანა და შეაჩერა მტრის ასეულის შემოტევა. მეტყვიამფრქვევემ 25 რუმინელი დახოცა.

რუმინელებს დიდი ზარალი მოსდით იმ უბანზე, სადაც ჩვენი ორი ნაწილი მოქმედებს. ამას ადასტურებენ მტრის ტყვე ჯარისკაცები და ოფიცრები.

ტყვემ ტრიფუ დიონისიმ დაკითხვაზე განაცხადა:

„ჩვენი ქვეითი დივიზია აქ მოვიდა რუმინელთა განადგურებული მესამე სამთო-მსროლელთა დივიზიის შესაცვლელად. აი უკვე 5 დღეა, რაც ჩვენ ბრძოლას ვეწევით საბჭოთა ჯარებთან. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ასეულმა, რომელსაც წინათ 200 კაცი ჰყავდა, 100 ჯარისკაცი დაჰკარგა. ასეთივე მდგომარეობაა ჩვენი პოლკის სხვა ასეულებშიც".

კ. პუხოვი

გერმანელთა უხამსობა კავკასიაში

მოქმედი არმია, 13 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩრდილოეთ კავკასიის დროებით ოკუპირებულ რაიონებში გერმანელები ადგილობრივი მთიელი მოსახლეობისადმი მიმართავენ მხეცურ ძალადობას, აწიოკებენ და ძარცვავენ მას. ადიღეს ავტონომიურ ოლქში ფაშისტებმა უკვე პირწმინდად გაძარცვეს ბევრი სოფელი და ხალხი ულუკმაპუროდ დასტოვეს. გესტაპოს აგენტები ყოველდღე აპატიმრებენ ათობით ადიღეელებს, ბრალად სდებენ რა მათ პარტიზანებისადმი თანაგრძნობას. სოფელ პონეჟუკაიში ოკუპანტები მთელ დღეს ძარცვავდნენ მშვიდობიან მცხოვრებთა სახლებს და სცემდნენ იმათ, ვინც ცდილობდა თავისი დოვლათი დაეცვა. საღამოს გერმანელებმა მტს-ის სადგომში მორეკეს ადგილობრივი აქტივი და დაიწყეს დაკითხვა, თუ სად იმყოფებიან პარტიზანული რაზმები, ამასთან ბევრი, მათ შორის ქალიშვილები დრაგუნოვა და მარჩენკო, მთლად გააშიშვლეს და გაწკეპლეს. სკოლის დირექტორი ხახუკო, მოსამსახურეები ტლეუჩეჟი და იახუტლი, კომკავშირელი ჩესნოკოვი, რომლებიც ადიღელთა შორის საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდნენ, ფაშისტებმა მანქანაში ჩასვეს და სადღაც წაიყვანეს. შემდეგ ისინი სოფელში არავის უნახავს, ალბათ დახვრიტეს.

ერთმა ჩვენმა ქვეგანაყოფმა გერმანელები განდევნა მთის სომხური სოფლიდან. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მებრძოლებს მოუთხრეს ფაშისტ მძარცველთა სისხლიანი თარეშის ამბავი.

„ამ რამდენიმე დღის განმავლობაში,—ამბობს კოლმეურნე ქალი ბასკანოვიჩი,—ჩვენი მყუდრო სოფელი ნამდვილ ჯოჯოხეთად გადაიქცა; ყველა ჩქარობდა იქიდან თავი დაეღწია. ფაშისტები დაძრწოდნენ სახლებში და იტაცებდნენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდათ, ბავშვის ფეხსაცმელსა და ტანისამოსსაც კი. მეორე დღეს გერმანელებმა შეიპყრეს მოხუცი სომეხი და წინადადება მისცეს მათი მეგზური გამხდარიყო მთებში. მოხუცმა გადაჭრით უთხრა უარი, და ის იქვე მოჰკლეს. ამის შემდეგ ოფიცერმა გამოაცხადა, ჩვენ ასე მოვექცევით ყველა მცხოვრებს, რომლებიც კი ჩვენს ბრძანებებს არ დაემორჩილებიანო".

იქ, სადაც ფაშისტები ვერ ახერხებენ დასახლებულ პუნქტებში შეჭრას, ისინი სასტიკად ბომბავენ მშვიდობიან სოფლებსა და მთის აულებს.

სოფლები, რომლებიც ცოტახნის წინათ აყვავებული, კარგად მოწყობილი იყვნენ, უდაბურნი გახდნენ. მოსახლეობა მშობლიური ადგილებიდან იყრება და მთებში იხიზნება.

ი. ლაპონოგოვი

კოლმეურნე ქალის საგმირო საქმე

სმოლენსკის ოლქი, 13 ოქტომბერი (საკდესი). ტყის იქიდან ალმოდებული თვითმფრინავი გამოჩნდა. მანქანამ ჰაერში დასტოვა კვამლის კვალი, მინდვრის თავზე წრე გააკეთა და ძირს დასაშვებად წამოვიდა. კოლბოხებზე ბორძიკით თვითმფრინავი მინდორში გაგორდა და გაჩერდა. კვამლი და ალი წინანდებურად გამოდიოდა მანქანიდან, ხოლო კაბინიდან გამოსული კი არავინ სჩანდა. მინდორში მომუშავე კოლმეურნემ მარიამ ნიკოლოზის-ასულმა გუსაკოვამ მანქანის ფრთებზე წითელი ვარსკვლავები შენიშნა და თვითმფრინავისკენ გაექანა. მან იცოდა, რომ ცეცხლს შეეძლო ბენზინის ავზამდე მისულიყო, რომ ყოველ წუთს შეიძლებოდა აფეთქება მომხდარიყო, მაგრამ ვერაფერმა ვერ შეაჩერა პატრიოტი ქალი. თვითმფრინავში ხომ ჩვენი საბჭოთა მფრინავი იყო. ალბათ იგი დაჭრილია ან შემომწვარია და იმიტომ არ შეუძლია ცეცხლმოდებული მანქანიდან გამოსვლა...

თვითმფრინავთან რომ მიირბინა, მარიამ ნიკოლოზის-ასულმა კაბინში ერთბაშად დაინახა მფრინავი. იგი იჯდა და თავი შტურვალზე დაეყრდნო, ალის ენები კი კაბინს ლოკავდნენ. კოლმეურნე ქალი პილოტის დასახმარებლად მივარდა. ძლიერი მხურვალების გამო თმებზე ცეცხლი მოეკიდა. მან ტკივილს ყურადღება არ მიაქცია, სწრაფად გაათავისუფლა მფრინავი თასმებისაგან, მოხსნა პარაშუტი და შემდეგ მთელი ძალების დაძაბვით დაჭრილი კაბინიდან გამოიყვანა.

მარიამ ნიკოლოზის-ასულმა მფრინავი თავის სახლში მიიყვანა, პირველი დახმარება გაუწია, ასვა-აჭამა და შემდეგ მახლობელ ჰოსპიტალში მიიყვანა.

როდესაც გონს მოვიდა, მფრინავმა სთქვა, რაც მოხდა. იგი სარდლობის დავალებას ასრულებდა მტრის ზურგში. უკან დაბრუნებისას „მესერშმიტების" ჯგუფს შეხვდა და მათთან ბრძოლაში ჩაება. ფაშისტთა ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდო. მეორე დააზიანა, მაგრამ დანარჩენებმა ბრძოლის ველიდან გაქცევისას მოახერხეს მისი მანქანისათვის ცეცხლის წაკიდება. დაჭრილმა პილოტმა ძლივს მოაღწია ჩვენს ტერიტორიამდე და უკვე გრძნობის დაკარგვის მდგომარეობაში მანქანა საკოლმეურნეო მინდორში დასვა.

რჩევა აგიტატორებს

ორატორული ხელოვნების შესახებ

კაცობრიობის ისტორიაში ცოცხალი სიტყვა, ორატორის სიტყვა მუდამ უდიდეს როლს ასრულებდა. ორატორის მგზნებარე სიტყვა მოქმედებს ადამიანის გონებასა და გრძნობაზე, აიძულებს ადამიანებს მიიღონ გადაწყვეტილება და იბრძოლონ, შთააგონებს და ამოძრავებს მათ დიდი საქმეებისათვის. ორატორული გამოსვლები მუდამ იყო პოლიტიკური ბრძოლის უმნიშვნელოვანესი იარაღი. ისტორიის სხვადასხვა ეპოქებში გამოჩენილი ორატორები ხშირად პოლიტიკური ბელადებიც იყვნენ.

ორატორის, აგიტატორის სიტყვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა პროლეტარიატის ბრძოლაში თავისი განთავისუფლებისათვის. დიდი რევოლუციონერები გვიჩვენებენ ნიმუშებს ღრმა გრძნობითა და რწმენით გამსჭვალული სიტყვისას, რომელიც მიმართულია მშრომელი ხალხის მასისადმი არა იმისათვის, რომ დაჰფაროს, არამედ იმისათვის, რომ განმარტოს ჭეშმარიტება და ამით მონაწილეობა მიაღებინოს მასებს მართალი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. მარქსი და ენგელსი, ლენინი და სტალინი საჯარო სიტყვის ამ მხრივ შესანიშნავ ნიმუშეს გვაძლევენ.

ხაზს უსვამს რა მართალი და მგზნებარე ბოლშევიკური სიტყვის მნიშვნელობასა და როლს, ამხ. იაროსლავსკი სწერს:

„რამდენჯერ ყოფილა, რომ ცარიზმთან ბრძოლის პერიოდში ბოლშევიკ-აგიტატორის სიტყვას მუშათა კრებაზე გაუფანტავს გაფიცვის, დემონსტრაციის აუცილებლობაში დაეჭვების უკანასკნელი ნაშთები. აგიტატორის სიტყვას რამდენჯერ გაუფანტავს უფრო ჩამორჩენილთა მერყეობა, გაუყოლებია იგი მცირე, დარაზმული ბოლშევიკური ავანგარდისათვის! რამდენჯერ ყოფილა, რომ მეფის ჯარისკაცთა ხიშტები, მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ მიმართული, ძირს დახრილა, როდესაც ჯარისკაცებისათვის მგზნებარე სიტყვით მიუმართავს პარტიულ აგიტატორს".

სიტყვის, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საბრძოლო იარაღის, მნიშვნელობა სახელმწიფო მოღვაწეებს უძველესი დროიდანვე ესმოდათ. იმ ხელოვნებათა შორის, რომელთაც შეეძლოთ ადამიანი პატივისცემის უმაღლეს საფეხურზე აეყვანათ, ძველად განსაკუთრებით განასხვავებდნენ ორ ხელოვნებას. „ერთია კარგი მხედართმთავრის ხელოვნება, მეორე — კარგი ორატორის ხელოვნება",— ამბობდა ძველი დროის გამოჩენილი ორატორი ციცერონი. ამასთან ერთად ციცერონი მოითხოვდა, რომ სიტყვა ყოფილიყო მახვილი, შინაარსის მხრივ მებრძოლური და არ გამოხატულიყო სიტყვების მხოლოდ ხელოვნური შერჩევა-შეხამებით, სიტყვის მხოლოდ ფორმაზე ზრუნვით. აკრიტიკებდა რა ერთ-ერთ ბერძენ ორატორს, რომელიც მთავარ ყურადღებას სიტყვის სილამაზეს უთმობდა, ციცერონი სწერდა:

„თავის სიტყვას რომ ამბობს, იგი მწყობრში კი არ არის მახვილით ხელში, არამედ თითქოს მხოლოდ რაპირებით ფარიკაობაში ვარჯიშობს".

სიტყვა რომ ნამდვილად საბრძოლო იარაღი იყოს, და არა ფრაზების წკრიალა „აკინძვა", ორატორმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს მასისადმი მიმართული თავისი სიტყვის შინაგან, აზრობრივ და შემდეგ უკვე სტილისტურ აგებას.

სიტყვის აზრობრივი აგების ძირითად წანამძღვარს მისი მიზანსწრაფვა წარმოადგენს. ორატორს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმაზე, რისთვისაც ლაპარაკობს იგი, სახელდობრ რის მიღწევა სურს თავისი სიტყვით, რა სურს მას უთხრას თავის მსმენელებს. ასეთი მიზანსწრაფვა, ცხადია, წარმოუდგენელია ორატორის ზოგადპოლიტიკური მიზანსწრაფვის გარეშე. იმ ზოგადი პოლიტიკური მიზნის მტკიცე, ნათელი შეგნების გარეშე, რომლისთვისაც ორატორი ცოცხლობს, აზროვნებს და მოქმედებს. ძველი საბერძნეთის სახელგანთქმული ორატორი დემოსთენე თავის სიტყვაში „გვირგვინის შესახებ" ამბობდა:

„მაგრამ, ექქნი, სიტყვები და ხმის ბგერა ხომ არ შეადგენენ ორატორის დიდებას, არამედ მისი პოლიტიკის მიმართულება, რომელიც ეთანხმება უმრავლესობის სურვილს, და სიყვარული ან სიძულვილი მათდამი, რომლებიც უყვარს ან სძულს სამშობლოს".

ბოლშევიკი აგიტატორი, ორატორი, რომელიც ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლის მაღალი ინტერესებისათვის, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის კეთილშობილი მიზნებისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის პროგრესიული პოლიტიკური იდეალებისათვის გამოდის, თავის გამოსვლებში მუდამ უნდა ამჟღავნებდეს იმ პოლიტიკურ მიზანსწრაფვას, რომელიც სიტყვას, როგორც საბრძოლო იარაღის, საფუძველს წარმოადგენს. ამასთან ორატორი თავის სიტყვაში მხურვალედ დარწმუნებული და გულწრფელი უნდა იყოს, და, ამრიგად, მსმენელებს უნდა გადასცემდეს არა მარტო თავის აზრებსა და დებულებებს, არამედ ამასთან ერთად თავის გრძნობებსა და განწყობილებასაც.

აუდიტორიას რომ სიტყვით მიმართავს და იცის, თუ რისთვის და რის შესახებ ლაპარაკობს, ორატორმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს საგანი, რომლის შესახებაც ლაპარაკობს. აგიტატორი იმდენად კარგად უნდა ერკვეოდეს საკითხში, რომლისადმიც მიძღვნილია სიტყვა, რომ მის შესახებ ჰქონდეს თავისი მტკიცე აზრი, იცოდეს მის შესახებ მსმენელებზე უფრო მეტი და მსმენელები ახალი ცოდნით გაამდიდროს. სასარგებლოდ და საჭიროდ სიტყვა შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ორატორი თავის მსმენელებს გადასცემს ახალ აზრს, ახალ გრძნობებს, ახალ განწყობილებას და ამით განაწყობს მათ ახალი მოქმედებისათვის.

ორატორის პოლიტიკური მიზანსწრაფვის გარდა, იმ კონკრეტული მიზნის შეგნების გარდა, რომლისთვისაც ეს სიტყვა წარმოითქმება, გულწრფელი გრძნობისა და რწმენის გარდა საჭიროა კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი პირობა იმისათვის, რომ შეიძლებოდეს წარმატებით გამოსვლა საჯაროდ.

ადამიანს უნდა ჰქონდეს თქმის უნარი, იგი დაუფლებული უნდა იყოს ორატორულ ხელოვნებას. ორატორად ვერ გახდება ის, ვისაც ვერ დაუძლევია სიტყვის აგების სიძნელენი.

„...ორატორული ხელოვნება,—ამბობდა ამხ. მ. ი. კალინინი,—ეს, ამხანაგებო,—ყველაზე ძნელი ხელოვნებაა, და ბოლშევიკები, რომლებიც მასობრივ ორგანიზაციებში მუშაობენ, უნდა ჰფლობდნენ ამ ხელოვნებას. თუ ამ ხელოვნებას არა ჰფლობ, აუდიტორიის დაძინება მეტისმეტად ადვილია. შეიძლება ითქვას, რომ ათი ორატორიდან ცხრა ორატორი ჩინებულად აძინებს აუდიტორიას, და მხოლოდ ერთს შეუძლია ცოტად თუ ბევრად შეუნარჩუნოს მას განწყობილება და არ დააძინოს იგი".

ორატორს უნდა ჰქონდეს უნარი დარწმუნებისა და მტკიცებისა, მას უნდა ჰქონდეს უნარი თავისი მსმენელების აღელვებისა, მათ გულში ჩაწვდომისა, მათი აღგზნებისა და შთაგონებისა, უმხურვალესი გრძნობებით, ბოლშევიკური მგზნებარებით, ბრძოლისა და გამარჯვების ნებისყოფით მათი ანთებისა. აქედან გამომდინარეობს ძირითადი მოთხოვნა სიტყვისადმი: იგი უნდა იყოს მკაფიო და გასაგები, იგი ისეთი უნდა იყოს, რომ მსმენელებმა უშუალოდ აითვისონ მთელი მისი აზრებისა და გრძნობების სიმდიდრით. ამიტომ სიტყვაში თანაბრად უნდა იყოს გონიერება და პათოსი.

ორატორი უნდა ემზადებოდეს სიტყვისათვის. არ შეიძლება ლაპარაკი „ხელდახელოდ". იმპროვიზაცია, ექსპრომტი ამ შემთხვევაში ყველაზე ნიჭიერ ადამიანებსაც კი ხშირად ჩაეფუშებათ ხოლმე.

როგორ უნდა ვემზადოთ სიტყვისათვის?

საჭიროა შევადგინოთ სიტყვის გეგმა ან დაწვრილებითი კონსპექტი. გეგმას, ისევე როგორც თვით სიტყვას, უნდა ჰქონდეს თავისი „ღერძი", რომელიც სიტყვის აზრის საფუძველს წარმოადგენს. თავისი ძირითადი აზრი რომ გამოხატოს, თავისი თეზისი, თავისი მტკიცება რომ დაადასტუროს, ორატორმა ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა დაალაგოს თეზისები და არგუმენტები (საბუთები, მტკიცებანი) მათი ურთიერთ ქვემდებარეობის მიხედვით.

ძველი დროის ავტორები, რომლებსაც თავიანთი ნაშრომები მიძღვნილი აქვთ მჭევრმეტყველების საკითხებისადმი, სიტყვის კონსტრუქციას ანალიზს რომ უკეთებდნენ, განასხვავებდნენ შესავალს, შინაარსსა და დასკვნას. არისტოტელე, მაგალითად, განასხვავებდა შესავალს, წინადადებას, შინაარსს, მტკიცებასა და დასკვნას.

მასალის ასეთი სქემატური დალაგება ხშირად გვეხმარება გეგმის შედგენის დროს.

ძველი დროის ორატორები, სიტყვის კომპოზიციაზე რომ ლაპარაკობდნენ, განასხვავებდნენ: 1) აზრების მონახვას, 2) აზრების დალაგებას და 3) აზრების გამოხატვას (ესე იგი ენასა ან სტილს).

ლოგიკურად სრულყოფით აგებულ სიტყვას, რომელშიც მასალა გულდასმით არის განაწილებული, შეუძლია ვერ მიაღწიოს მსმენელთა შეგნებამდე, ვერ შეუქმნას მათ ნებისყოფის საჭირო მიმართულება, თუ ორატორი დაუფლებული არ არის სიტყვის ტექნიკას, თუ მან არ იცის თავისი აზრის საკმაოდ მკაფიოდ და ნათლად გადაცემა. ლაპარაკის ამ უნარს უძღვნის თავის მსჯელობას მჭევრმეტყველების თეორია (რიტორიკა). ეს თეორია დამუშავებულ იქნა ჯერ კიდევ ძველ დროში ბერძნებისა და რომაელების მიერ (არისტოტელეს, კვინტილიანის, ციცერონისა და ტაციტის ძირითადი ნაშრომები) იმდროინდელი პოლიტიკური და სასამართლო გამოსვლების გამოცდილების საფუძველზე. ძველი დროის ორატორთა გამოცდილებას, სიტყვის ტექნიკის მათ მიერ გამომუშავებულ ხერხებს დღემდეც აქვთ გარკვეული მნიშვნელობა, ვინაიდან მათ შეუძლიათ შეუმსუბუქონ ცოცხალი სიტყვის დაუფლებაზე მუშაობა ჩვენი ეპოქის ადამიანსაც.

ძველად წარმოდგენილი არა ჰქონდათ, რომ მეტყველების ნიჭი წარმოადგენს თითოეულის კუთვნილებას დაბადებიდანვე, და როდესაც მაშინ ლაპარაკობდნენ, ორატორად გახდომა შეიძლებაო, ამით ისინი გულისხმობდნენ, რომ კარგად ლაპარაკის შესწავლა არა მარტო შეუძლია თითოეულს არამედ კიდევაც უნდა შეისწავლოსო.

ეს უნარი შეიძლება გამოიმუშაონ და კიდევაც უნდა გამოიმუშაონ ჩვენმა ბოლშევიკმა ორატორებმა, აგიტატორებმა. მათ უნდა გამოიყენონ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მდიდარი გამოცდილება, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის სიტყვები. ისეთი მგზნებარე სახალხო ტრიბუნების გამოსვლები, როგორიც იყვნენ ვოლოდარსკი და კიროვი, ისეთი გამოჩენილი პოლიტიკური ორატორების სიტყვათა ნიმუშები, როგორიც იყვნენ მარატი, ლასალი, ჟორესი, ლიბკნეხტი და სხვ., აგრეთვე ძველი დროის განთქმულ ორატორთა—დემოსთენეს, ციცერონის და სხვ. სიტყვები.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ეპოქაში ორატორულ გამოსვლებს შორის, რომლებსაც, თითქოს, ერთმანეთს შორის არავითარი საერთო არა აქვთ, ნამდვილად მჭიდრო კავშირი ემჩნევა. მაგალითად, საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი მოღვაწის ონორე მირაბოს სიტყვა, რომელიც საკანონმდებლო კრების სხდომის ცოტა ხნის შემდეგ, 1789 წლის 23 ივნისს წარმოითქვა, თავისი კონსტრუქციით ჰბაძავს ციცერონის ერთ-ერთ სიტყვას, რომელიც უძველეს დროს წარმოთქმული იყო კატილინას წინააღმდეგ. ეს მოწმობს, რომ გამოჩენილი ორატორები არ უგულებელჰყოფდნენ წარსულის გამოცდილებას და სერიოზულად ემზადებოდნენ თავიანთი გამოსვლებისათვის.

მჭევრმეტყველების ხერხებს შორის როგორც წარსული, ისე ახლანდელი დროის გამოცდილებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიტყვის აგების (მიმოქცევის) ისეთ ხერხებს, რომლებსაც მიზნად აქვთ გააძლიერონ სიტყვის გამომხატველობა მასში დიალოგური და კითხვითი ფორმების, შეძახილების, დაპირისპირების და სხვ. გამოყენების საშუალებით.

ორატორის მიერ დიალოგის ფორმის ჩართვა ხელს უწყობს სიტყვის აზრის მკაფიოდ გამოხატვას მოწინააღმდეგე მხარის თეზისებისათვის ორატორის ძირითადი დებულებების, თეზისების, დაპირისპირების გზით. სიტყვის ასეთი აგების მაგალითი შეიძლება იყოს შემდეგი ადგილი ვოლოდარსკის „დარიგების სიტყვიდან აგიტატორებისადმი":

„მენშევიკები და ესერები ამბობენ: დაუბრუნდით მეპატრონეებს, კაპიტალისტურ გომურს. ჩვენ კი ვუპასუხებთ: თუ თქვენ მოგენატრათ ეს გომური, ჩვენ არ გაკავებთ, ჩვენ კი ერთი გზა გვაქვს: გადაველახავთ დაბრკოლებებს, ღრანტეებს, ბორცვებს, ჩავიდენთ შეცდომებს, მაგრამ მაინც ვივლით იმ გზით, რომლითაც გვივლია, და სრულ გამარჯვებამდე მივალთ".

ამ ფორმასთან ახლოს დგას ეგრეთწოდებული **რიტორიკული კითხვა**, ესე იგი კითხვა, რომელსაც თითქოს აძლევს ორატორი, მაგრამ პასუხს არ მოითხოვს. სიტყვის ეს ხერხი ხელს უწყობს საწინააღმდეგო აზრის უფრო ცხადად გამოვლინებას და ამასთან ერთად ორატორის თეზისის უფრო მკაფიოდ, უფრო კატეგორიულად დამტკიცებას. გარდა ამისა, შეკითხვითი ინტონაცია, რაც [illegible] ერთვის, უფრო გასაგებს ხდის სიტყვას, აძლიერებს მის ემოციურ აღქმას მსმენელთა მიერ. ამ ხერხს ორატორები ფართოდ იყენებდნენ და იყენებენ.

რიტორიკული კითხვების მკაფიო მაგალითებს შეიცავს ციცერონის ცნობილი სიტყვა კატილინას წინააღმდეგ:

„ბოლოს და ბოლოს, კატილინავ, როდემდე გინდა ბოროტად გამოიყენო ჩვენი მოთმინება? ნუთუ კიდევ დიდხანს იჯიუტებ და არ დასთმობ შენს ველურ უგნურებას? როდემდე დაივიწყებ ყოველგვარ ზომიერებას და იყოყოჩებ შენი კადნიერებით?"

რიტორიკულ კითხვებს ოსტატურად იყენებს ილია ერენბურგი თავის გამოსვლებში რადიოთი და ნარკვევებში, რომლებსაც გაზეთებში ათავსებს. ამ მხრივ ყველაზე დამახასიათებელია ნარკვევი „ვასილისკო", რომელშიც ერენბურგი გერმანელებს აძლევს მთელ რიგ კითხვებს, რომლებზეც იქვე თვითონვე უპასუხებს, ამასთან მწვავედ ამხელს გერმანელ დამპყრობთა მისწრაფებებისა და მოქმედების მთელ საზიზღრობასა და საშინელებას. გავიხსენოთ ზოგიერთი ადგილი ამ ნარკვევიდან:

„შენ ლაპარაკობ „ახალი წესრიგის" შესახებ ევროპაში? ჰკითხე, რას ფიქრობენ შენზე ფრანგები და პოლონელები, ნორვეგიელები და სერბები. შენ ყველგან სძულხართ. ამას შენ „სოციალიზმს" ეძახი? რეგვენო, შენ მხოლოდ სხვის სიცრუეს იმეორებ. შენ დიალექტიკოსი ხალხი იყავი. შენ თუთიყუში ჯარისკაცი გახდი".

ორატორული სიტყვის მეტად მკაფიო ხერხს წარმოადგენს ეგრეთწოდებული **ანტითეზა**, რომლის გამოყენებით აზრი იძენს ძალითაც და გამომხატველობითაც. ანტითეზა — ეს არის დაპირისპირება მკვეთრად საწინააღმდეგო აზრებისა ან სახეებისა შთაბეჭდილების გასაძლიერებლად. ანტითეზის კლასიკური მაგალითები გვაქვს ციცერონის ნაშრომებში. აი ერთ-ერთი მათგანი:

„როდესაც ყველაფერი მშვიდად არის, შენ ხმაურობ; როდესაც ყველა ღელავს, შენ დამშვიდებული ხარ; უმნიშვნელო საქმეებში— ცხარობ, მწვავე საკითხებში — ცივი ხარ; როდესაც საჭიროა სიჩუმე, შენ ყვირი, როდესაც საჭიროა ლაპარაკი — მდუმარებ..." და სხვ.

მსმენელებზე ზემოქმედების ძალის მხრივ ანტითეზის გვერდით უნდა დავაყენოთ **შედარება**. გამომხატველობისა და გაგების გაადვილების მხრივ იგი ორატორული სიტყვის მეტისმეტად მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს.

კარლ მარქსის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში ფ. ენგელსმა სთქვა:

„მსგავსად იმისა, როგორც დარვინმა ორგანული სამყაროს განვითარების კანონი აღმოაჩინა, მარქსმა აღმოაჩინა კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონი..." 1)

მარტო ასეთი შედარება საკმარისი იყო მარქსის შრომების მსოფლიო-ისტორიული ხასიათის, აზრისა და მნიშვნელობის შესახებ ნათელი წარმოდგენის მოსაცემად.

შედარების ფორმის გამოყენების ნიმუშებს ხშირად ვხვდებით ლენინისა და სტალინის სიტყვებსა და სტატიებში. პირველი ხუთწლედის განმავლობაში შექმნილი მრეწველობის სურათის მოხაზვისას ამხანაგი სტალინი უპირისპირებდა, ადარებდა მას მრეწველობის მდგომარეობის უწინდელ სურათს:

„ჩვენ არ გვქონდა შავი მეტალურგია, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველი. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა სატრაქტორო მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა საავტომობილო მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა დაზგათმშენებლობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა სერიოზული და თანამედროვე ქიმიური მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა ნამდვილი და სერიოზული მრეწველობა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების დარგში. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა საავიაციო მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი".

ამ დაპირისპირებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და იგი ყოველ ჩვენგანს მტკიცედ დაამახსოვრდა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ შედარების მეთოდს ფართოდ იყენებს სიტყვებში ბევრი ჩვენი ორატორი.

ანტითეზასა და შედარებას ხშირად იყენებს ერენბურგი. მოვიყვანოთ კიდევ ერთი ადგილი მისი ზემოხსენებული ნარკვევიდან „ვასილისკო":

„შეხედე შენს თავს, რა იყავი და რა გახდი. შენ იყავი კანტისა და გოეთეს, მარქსისა და ჰაინეს ხალხი. შენ თაღლით ჰებელსის, ბანდიტ გერინგის, სუტენერ ჰორსტ ვესელის ჯარისკაცი გახდი. შენ იყავი მუყაითი მშრომელი და ფილოსოფოსი. შენ მომთაბარე და კაცისმკვლელი გახდი".

ორატორული სიტყვის არსებითი ელემენტია **იუმორი, ირონია**. ისინი სიტყვას უფრო გასაგებს, პოლემიკურად გამახვილებულს ხდიან.

იუმორს, ირონიას ხშირად იყენებენ ლენინი და სტალინი როგორც მძლავრ იარაღს ჩვენი მართალი საქმისათვის ბრძოლაში. ამას ემსახურება მკაფიო სახეები მხატვრული ლიტერატურიდან, მითოლოგიიდან და ისტორიიდან და ხალხური ანდაზები, რომლებსაც ლენინი და სტალინი თავიანთ სიტყვებში შესანიშნავი ოსტატობით იყენებენ.

ი. დენისოვი

„სპუტნიკ აგიტატორა".

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. XV, გვ. 652.

სააგიტაციო მუშაობის საკითხი რაიკომის პლენუმზე

ქუთაისი („კომუნისტის" კორ.). საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის პლენუმმა, რომელიც ამას წინათ ჩატარდა, მოისმინა და განიხილა პარტრაიკომის მდივნის ამხ. ლ. გაბრიაძის მოხსენება პოლიტიკური აგიტაციის დაყენების შესახებ ქუთაისის რაიონში. მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდა 12 კაცი.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ქუთაისის რაიონის კოლმეურნეთა შორის ფართოდ არის გაშლილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. აგიტატორები თავისი მუშაობით ხელს უწყობენ მაღალი სამხედრო მოსავლისათვის ბრძოლას. სისტემატურმა აგიტაციამ მასების უდიდესი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო საკითხებისადმი. მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში ჩატარებულ იქნა 144 ლექცია-საუბარი და მოხსენება, რომლებსაც 10.741 კაცი დაესწრო.

ბოლშევიკური აგიტაცია კარგად დააყენა სოფ. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლას" პირველადმა პარტორგანიზაციამ. პარტბიუროს მდივანი ამხ. მუშკუდიანი პირადად ხელმძღვანელობს აგიტატორების მუშაობას. ენერგიულად მუშაობს აგიტატორი თედორე ფესტვენიძე, იგი ბრიგადირია და შრომითი მამაცობის პირადი მაგალითით რაზმავს კოლმეურნეებს.

კარგი აგიტატორია აგრონომი ვალოდია ბერაძე. აგიტატორებმა გეგუთის კოლმეურნეთა შორის მოაწყეს მოკლე საუბრები წითელი არმიისადმი დახმარების საკითხებზე. მალე გეგუთელებმა შეაგროვეს 16.000 მანეთი, რომლითაც შეიძინეს თბილი ტანსაცმელი გმირი წითელი არმიისათვის.

სოფ. ნამოხვანის კოლმეურნეობა „წინსვლაში" ყოველდღიურად მუშაობს 12 აგიტატორი. დამახასიათებელია აგიტატორ გივი ხაჭაპურიძის საქმიანობა. ამას წინათ ნამოხვანში მიიღეს გაზეთი, რომელშიაც მოთხრობილი იყო საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნების შოთა, ჯაბულო და ვალიკო სიმაევების შესახებ. ეს წითელარმიელი ბიძაშვილები ნამოხვანიდან არიან. აგიტატორმა ხაჭაპურიძემ მერვე ბრიგადის კოლმეურნეებს უამბო სახელოვან თანასოფლელებზე. ამან ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელს კოლმეურნეობაში. ამასთან დაკავშირებით კოლმეურნეებმა იკისრეს უფრო გააძლიერონ ფრონტისადმი დახმარება.

ამხ. მუშკუდიანმა (გეგუთის პარტორგანიზაციის მდივანი), კრავეიშვილმა (ნახშირღელის პარტორგანიზაციის მდივანი), ასათიანმა (მექვენის პარტორგანიზაციის მდივანი), სულუხიამ (საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე) და სხვ. თავიანთ სიტყვებში მიღწევებთან ერთად აღნიშნეს საგიტაციო მუშაობის ნაკლოვანებები. სოფ. რიონის კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში" აგიტატორები ფორმალურად გამოჰყვეს. პარტორგანიზაციის მდივანი გ. გოგლიჩიძე დაინტერესებული არ არის აგიტაციის გაძლიერებით. სრულებით არ მუშაობენ მასწავლებელი აგიტატორები გოლეთიანი, ჩირაძე და შუბლაძე. მსგავსი მდგომარეობაა სოფ. ქვიტირის კოლმეურნეობა „ლენინის გზაში", სოფ. საყულიის კოლმეურნეობა „კომუნარში" და სოფ. ტყაჩირის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში".

პლენუმმა დასახა ღონისძიებები კოლმეურნეობებში პოლიტიკური აგიტაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ს. ყურაშვილი

თათბირი პოლიტიკური აგიტაციის საკითხებზე

გორი („კომუნისტის" კორ.). გორში ჩატარდა რაიონული თათბირი პოლიტიკური აგიტაციის საკითხებზე. თათბირს ესწრებოდნენ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, აგიტკოლექტივებისა და აგიტპუნქტების ხელმძღვანელები. რაიონში საგიტაციო მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე ამხ. გ. ნამიჩეიშვილი. თათბირზე გამოსულმა საკონსერვო ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ლ. მაგრაძემ ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელსაც აგიტატორები ეწევიან ქარხანაში. აგიტატორები ლელუაშვილი, ქიტიაშვილი და სხვ. სისტემატურ და მაღალხარისხოვან საუბრებს ატარებენ მუშათა შორის. საგიტაციო მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებამ ხელი შეუწყო საწარმოო გეგმების შესრულებას.

სიტყვებით გამოვიდნენ და საგიტაციო მუშაობის დაყენებაზე ილაპარაკეს აგრეთვე აკაკი ტაბატაძემ, მიხეილ ხომასურიძემ, გრ. ზუმბურიძემ, ჯანელიძემ და სხვ. თათბირზე აღინიშნა, რომ შინდისის აგიტპუნქტი (ხელმძღვანელი ტორჩილავა) და აგიტკოლექტივი (ხელმძღვანელი სულაძე) სუსტად მუშაობენ. აქ საგიტაციო მუშაობა მიივიწყეს, არ ტარდება აგიტსემინარები და საუბრები აგიტატორებთან. აგიტატორები შემთხვევიდან შემთხვევამდე ატარებენ საუბრებს. საგიტაციო მუშაობას არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს შინდისის მტს-ის პოლიტგანყოფილება. ასევე ცუდად მუშაობენ ხიდისთავის, ატენის, მეჯვრისხევის და სხვა აგიტპუნქტები.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა და თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. მიხანაშვილმა. საგიტაციო მუშაობის გაუმჯობესების მიზნით თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბუჯიაშვილი.

შ. ჩუბინიძე

აგიტაცია კონკრეტული, დამაჯერებელი უნდა იყოს

საჩხერე („კომუნისტის" კორ.). საჩხერის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე ბევრი აგიტატორი მიმზიდველ, კონკრეტულ და დამაჯერებელ აგიტაციას ეწევა, რაც ხელს უწყობს უხვი სამხედრო მოსავლისათვის ბრძოლას.

სოფელ სავანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მასწავლებელ აგიტატორ ამხ. შ. ღუღუნიშვილის საუბრები მიმზიდველი და საინტერესოა. იგი კოლმეურნეებში აძლიერებს მრისხანე სიძულვილს მტრისადმი, მგზნებარე სიყვარულს ჩვენი სამშობლოსადმი. ამხ. ღუღუნიშვილი საუბრებს უკავშირებს კოლმეურნეობის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს, რაზმავს კოლმეურნეებს ახალ საწარმოო გამარჯვებათა მისაპოვებლად. ამხ. ღუღუნიშვილი არა მარტო სიტყვიერ აგიტაციას ეწევა, იგი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს კოლმეურნეებს, მარტო ერთ თვეში მან 40 შრომადღე გამოიმუშავა.

ასევე დამაჯერებელია სოფ. ჯალაურთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას თავმჯდომარის აგიტატორ ამხ. ივ. ბულაძის საუბრები. მან შესძლო კოლმეურნეების ისე დარაზმვა, რომ ეს კოლმეურნეობა მთელ რაიონში მოწინავეა, მტკიცედ ინარჩუნებს რაიონულ გარდამავალ წითელ დროშას.

მაგრამ საგიტაციო მუშაობის დაყენება ყველგან როდი შეეფერება სამამულო ომის ვითარებას. არგვეთის, ჭალის, ჩიხის აგიტკოლექტივებმა (ხელმძღვანელები ამხ. შ. ზეინკლიშვილი, ქ. აბაშიძე, გ. პაპიძე) სრულიად შესწყვიტეს აგიტატორებისათვის სემინარების ჩატარება. ქორეთისა და კორბოულის აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები ამხ. მ. გუდაძე და გ. მაჭარაშვილი სემინარზე საგაზეთო მასალებს იხილავენ და ამით აგიტატორები მესაუბრე-წამკითხველებად გადააქციეს. სხვიტორის აგიტპუნქტი (ხელმძღვანელი ამხ. ე. თეთრუაშვილი) მეტწილად დაკეტილია. სოფ. ბაჯითის კოლმეურნეობის აგიტატორები ს. ტყემალაძე, ნ. ქურდაძე მოწყვეტილი არიან საკოლმეურნეო ცხოვრებას. ქორეთელი აგიტატორები ქამუშაძე და წერეთელი გაზეთის წაკითხვით კმაყოფილდებიან, ხოლო ბოლოს ამასაც თავი მიანებეს და მიზეზად მოუცლელობას ასახელებენ. აგიტატორებმა ამხ. ე. ქამუშაძემ, მ. გაფრინდაშვილმა, თ. ნასარიძემ, რ. დათიაშვილმა ზაფხულში „შესვენება" გამოაცხადეს და საგიტაციო უბანში არც კი გაუვლიათ.

ზოგჯერ ყურადღება არ ექცევა აგიტატორთა შერჩევას. სოფ. სხვიტორში აგიტატორად გამოჰყვეს ამხ. შ. ზაზაძე. იგი ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევა. ცხადია, ასეთი აგიტატორის საუბარი ვერ იქნება მიმზიდველი, დამაჯერებელი.

აგიტაცია ომის დღეებში უაღრესად კონკრეტული, მართალი, დამაჯერებელი, პანიკიორებისა და ზურგის დეზორგანიზატორების წინააღმდეგ მიმართული უნდა იყოს—ასეთია სადღეისო ამოცანა.

პ. ფიოკაძე

ყოველდღიური, მგზნებარე ბოლშევიკური აგიტაციისათვის

ჭიათურა („კომუნისტის" კორ.). ამ დღეებში შესდგა ჭიათურის საწარმო-დაწესებულებათა აგიტატორების, მესაუბრე-წამკითხველების, აგიტპუნქტებისა და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელების და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების საქალაქო თათბირი.

თათბირმა მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. დ. ლილუაშვილის მოხსენება თემაზე — სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და აგიტატორთა ამოცანები.

მომხსენებელმა აღნიშნა ის წარმატებანი, რასაც სამამულო ომის დღეებში საგიტაციო მუშაობის საქმეში მიაღწიეს საწარმო-დაწესებულებებში. აგიტატორების ამხ. ბ. ჩხეიძის, გ. ჩაჩანიძის, მ. მოდებაძის (სტალინის სახელობის მაღარო), მ. ქამუშაძის, გრ. კეკენაძის (ლენინის სახელობის მაღარო), ს. ჯავახიძის, ე. ჩხიკვაძის, ს. რუხაძის (მთავარი მექანიკური სახელოსნო), ქ. ზამთარაძის, შ. შეყილაძის, შ. აბესაძის (დიმიტროვის სახელობის მაღარო) აგიტაცია კონკრეტული დამაჯერებელი და მიმზიდველია. ისინი პირადი მაგალითით რაზმავენ მასებს ყოველდღიური საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად.

მაგრამ საგიტაციო მუშაობას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. ზოგი აგიტატორი (თ. ჭანკვეტაძე, ნ. ჯაფარიძე, ნ. გამყრელიძე) არ მუშაობს თავის თავზე, რის გამო ისინი ვერ ერკვევიან ელემენტარულ საკითხებში, აგიტაციას შემთხვევიდან შემთხვევამდე ატარებენ.

ამხ. ლილუაშვილის მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ ამხ ვ. კუხიანიძე, ვ. წულუკიძე, ს. ბუბულაშვილი, მ ღვალაძე, ვ. კურტანიძე, ვ. მაჩიტაძე, მ. მოდებაძე, გ. ხარშილაძე, ბ. აბრამიშვილი, ს. სამყაურაშვილი. ისინი ლაპარაკობდნენ თავიანთ გამოცდილებებზე და იმ ნაკლოვანებებზე, რაც თან ახლავს საგიტაციო მუშაობას.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ალ სხილაძემ.

ჩერჩილის გამოსვლა ედინბურგში

ლონდონი, 12 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩერჩილმა სიტყვა წარმოსთქვა ედინბურგში მისთვის ამ ქალაქის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.

თავის სიტყვაში ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ინგლისი „ამჟამად უფრო შემჭიდროებულია, ვიდრე ოდესმე წინათ თავის ისტორიაში".

ჩერჩილი შეეხო ჰიტლერელი წინამძღოლების უკანასკნელი გამოსვლების კილოს და განაცხადა:

„ჩვეულებრივს თავის ქებასა და მუქარაში სრულიად აშკარად ისმის ნაღვლიანობის, მოწყენილობისა და ჩივილის კილო. ეს არის სიტყვები იმ ადამიანებისა, რომლებმაც იციან თავიანთი დანაშაული და იციან, თუ რას ამბობს კანონი. რამდენად განსხვავდებიან ეს სიტყვები 1940 წელს წარმოთქმული სიტყვებისაგან! ჰიტლერი თავისი გულის სიღრმეში გრძნობს, რომ მის უდიდეს გამარჯვებებსა და ვრცელ დაპყრობებთან ერთად ბედი ღალატობს მას. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მისი პერსპექტივები განუზომლად შავბნელი გახდა. იგი ენცვიფრებით ხედავს, რომ ჩვენი დამარცხებანი მხოლოდ საფეხურებს წარმოადგენენ გამარჯვების გზაზე, ხოლო ყველა მისი გამარჯვება კი საფეხურებს განადგურების გზაზე.

მიზეზი, რომელიც ჰიტლერის მრისხანებას იწვევს, არის აგრეთვე შიში. ნორდკაპიდან ნორვეგიაში ესპანეთის საზღვრამდე ბაიონში, თითქმის ორი ათას მილ მანძილზე გერმანიის სადამპყრობლო არმიებს უხეში ძალისა და ტერორის დახმარებით მორჩილებაში ჰყავთ დასავლეთ ევროპის ხალხები. ნორვეგია, დანია, ბელგია, საფრანგეთი—ყველანი ჰიტლერის ბრჭყალებში არიან, და ყველგან ბობოქრობს აჯანყებისა და რევოლუციის სულისკვეთება. გარდა დანიისა, რომლის ჯერიც დადგება, ყველგან ხდება დახვრეტა. უდანაშაულო მძევლებს ან თვალსაჩინო მოქალაქეებს ყოველდღე აპატიმრებენ და გულგრილად ხვრეტენ. სიძულვილი გერმანული რასისადმი და გერმანული სახელისადმი დღითი-დღე სულ უფრო და უფრო მწველად გიზგიზებს ამ ძველ ხალხთა გულში. ინგლისის დამკვრელი რაზმების რეიდები, რაც განხორციელებულ იქნა ამ უზარმაზარი სანაპიროს სხვადასხვა პუნქტზე და რაც ჯერჯერობით მხოლოდ წინასწარ მაუწყებელია იმისა, რაც მოხდება, შიშსა ჰგვრის იმ ადამიანს, რომელმაც ამდენი დანაშაული და საშინელება ჩაიდინა. მისი ჯარისკაცები ისეთ მოსახლეობაში ცხოვრობენ, რომელიც მზად არის საკუთარი ხელით დაახრჩოს ისინი პირველ შესაძლებლობისთანავე და მოსპოს ისინი როგორც კი დრო დადგება.

იმის მსგავსად, თუ როგორ ხვრეტს ის უდანაშაულო მძევლებს ნორვეგიასა, ბელგიასა, ჰოლანდიასა და საფრანგეთში იმ იმედით, რომ მათ თანამემამულეთა სულს გატეხს,—ჰიტლერი, არღვევს რა იმ მცირერიცხოვან კონვენციებს, რომლებსაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ ძალა მსოფლიო ომში, ჯავრს იყრის სამხედრო ტყვეებზე და ბორკილებს უყრის მათ. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ეს ომი სულ უფრო და უფრო სასტიკი გახდებოდა იმის მიხედვით, რაც ნაცისტი დამნაშავენი იგრძნობდნენ, რომ დაღუპვის რკალი ულმობლად ვიწროვდება იმათ გარშემო. აქ, დასავლეთში, ჩვენ სისასტიკისა და მხეცობის მრავალი აქტის მოწმენი ვიყავით. მაგრამ ის, რაც დღემდე ხდებოდა დასავლეთში, ოდნავადაც კი ვერ შეედრება არა მარტო ჯარისკაცთა, არამედ აგრეთვე სამოქალაქო მოსახლეობას, ქალებისა და ბავშვების იმ მასობრივ ულეტას, რომლითაც ხასიათდება ჰიტლერელთა შესვლა რუსეთში. რუსეთსა, პოლონეთსა და იუგოსლავიაში გერმანიის არმიამ და სპეციალური პოლიციის ბატალიონებმა და ბრიგადებმა, რომლებიც მუდამ თან სდევენ მას და წამყვან როლს ასრულებენ საშინელ ხოცვა-ჟლეტაში, რაც ზურგში ხდება, შეუბრალებლად გაჟლიტეს ათეულ ათასობით ადამიანი. თითოეული კაცის სიკვდილით დასჯაზე, რომლის შესახებაც [illegible] გულება გაუცია დასავლეთში, სულ ცოტა 200 და, იქნებ, გაცილებით მეტი კაცის სიკვდილით დასჯა მოდის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. კიევში შესვლის შემდეგ მან 54.000 კაცი დახვრიტა. ვფიქრობ, ამგვარი ადამიანისადმი სისუსტის ყოველგვარი გამოჩენა მხოლოდ შემდგომი მხეცობის წაქეზებას ნიშნავს, და თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ მისდამი არავითარი სისუსტე არ იქნება დაშვებული.

მისი წარყვნილი ინსტინქტების გარდა, არის კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც ჰიტლერმა ფართო მასშტაბით დაიწყო ინგლისელ სამხედრო ტყვეთა წამება. მას სურს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ახალი თემა მისცეს განსახილველად და, ამრიგად, ჩამოაშოროს ყურადღება ჯერჯერობით აშკარა დამარცხებას,—მე ყოველთვის ვამბობ „ჯერჯერობით",—თავის მეორე დიდ კამპანიაში რუსეთის წინააღმდეგ. სტალინგრადის გმირული დაცვა—ის ფაქტი, რომ რუსეთის საუცხოო არმიები ყველგან დარჩნენ მთლიანად, არ არიან გატეხილნი და დამარცხებულნი, უფრო მეტიც, რომ მათ განსაცვიფრებელი ენერგიით მიაქვთ კონტრიერიშები მთელ ფრონტზე ლენინგრადიდან კავკასიის მთებამდე, ის საშინელი ზარალი, რაც გერმანიის ჯარებს მოუვიდათ, ახალი რუსული ზამთრის სიახლოვე,— ყველა ეს შავბნელი ფაქტი, რომელთა დამალვა შეუძლებელია, თავის ცივ ჩრდილს ჰფენს გერმანელ ხალხს, რომელიც უკვე ცახცახებს ინგლისის მხრივ დაბომბვის არა ერთგზისა და მზარდი დარტყმების შედეგად. ხალხი ცივად მიაპყრობს თვალს ხელმძღვანელს, რომელმაც ყოველივე ეს დაატეხა მას, და ყრუდ დრტვინავს, რადგან იგი ხმამაღლა ლაპარაკს ვერ ბედავს. ხალხი იძლევა საშინელ კითხვას: რათ წახვედი იქით, რატომ შეიჭერ რუსეთში?

წყალქვეშა ომი ისევ რჩება გაერთიანებული ერების უდიდეს პრობლემად. მაგრამ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი არ შეიძლება გადაჭრილ იქნას იმ გრანდიოზული ღონისძიებებით, რომლებსაც თავდაცვის, შეტევისა და დაღუპული ტონაჟის შეცვლის დარგში ატარებენ ამჟამად ინგლისი, კანადა და, პირველ რიგში, შეერთებული შტატები. მე ვერ ვიტყოდი, რომ აგვისტო და სექტემბერი საუკეთესო თვეები იყვნენ, მაგრამ ყველაზე ნაკლებ ცუდი თვეები კი იყო იანვრიდან. ამ ხნის განმავლობაში ახალი სავაჭრო გემების მშენებლობამ მნიშვნელოვნად გადაამეტა ზარალს. ამ ხნის განმავლობაში გერმანიას ინგლისის ბომბების ყველაზე მეტი ტონაჟი დაეყარეთ თავს. ამ თვეებს უწევს ბრიტანეთის კუნძულებზე ამერიკის ჯარების ყველაზე მეტი რაოდენობით ჩამოსვლა მშვიდობიანად. ამ თვეებში აღნიშნულია გარკვეული ზრდა მოკავშირეთა უპირატესობისა ჰაერში გერმანიისა, იტალიისა და იაპონიის წინაშე. ამ თვეების განმავლობაში, სახელდობრ სექტემბერში, შორეულ წყნარ ოკეანეში ავსტრალიელებმა თავიანთ ამერიკელ მოკავშირეებთან ერთად მნიშვნელოვნად წაიწიეს ახალ გვინეაში. ვაკვირდებით რა ბალანსის ორივე მხარეს—ცუდსა და კარგს, ერთნაირი დამშვიდებითა და გულგრილობით,—ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ მივაღწიეთ ომის მკაცრსა და შავბნელ მომენტს, რომელიც მოითხოვს უაღრესად დიდ სიმტკიცეს, სულის გამძლეობასა და სიმშვიდეს. ამჟამად ჩვენს გარშემო არიან მთავრობები და ერები, რომლებთანაც ჩვენ დაკავშირებული ვართ საზეიმო და ურღვევი კავშირით. ჩვენ ყველანი დაკავშირებული ვართ არა მარტო ღირსების კავშირით, არამედ თავდაცვის ინტერესებითაც. მომაკვდინებელი საფრთხენი ჯერ კიდევ გვემუქრებიან. დაღლილობა, უდარდელობა ან უთანხმოება, წვრილმანებზე დავა ავნებენ ჩვენს მომავალს. უკიდურეს ზომამდე უნდა დავძაბოთ მთელი ჩვენი ძალები. უნდა შევინარჩუნოთ და კიდეც უნდა გავაუმჯობესოთ სწორი და ზუსტი მსჯელობის ჩვენი უნარი. უნდა შევახამოთ სიბრძნე და შემართება. ერთად უნდა ვიაროთ წინ, გაერთიანებულებმა და შეურყევლებმა".

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ჩრდილოეთ გერმანიას

ლონდონი, 13 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლისის თვითმფრინავებმა 12 ოქტომბერს ღამით იერიში მიიტანეს ჩრდილოეთ გერმანიის მთელ რიგ სამრეწველო ობიექტებზე.

რუმინელი ოკუპანტები აბუჩად იგდებენ საბჭოთა მოსახლეობას

სტამბოლი, 13 ოქტომბერი (საკდესი). რუმინული პრესა უტიფარი გულახდილობით სწერს რუმინელთა ყაჩაღურ თარეშზე ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში. რუმინელი დამპყრობნი ძარცვავენ უკლებლივ მთელ საბჭოთა მოსახლეობას, ართმევენ მას ტანსამოსსა და უკანასკნელ ლუკმა პურს.

გაზეთი „არგუსი" იუწყება, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ოდესაში შესდგა „ზადნესტროვიეს ადმინისტრატიული კონფერენცია", რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა რუმინეთის ოდესელმა „გუბერნატორმა" ალექსიანუმ. ის თავმოყრილ მოხელეთა და პოლიციელთა ხროვას აძლევდა „მითითებებს", თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს მათი მძარცველური მოქმედება. საშემოდგომო თესვის ჩასატარებლად ალექსიანუმ წინადადება მისცა ჩამოართვან ადგილობრივ მცხოვრებთ თესლი, ამასთან გააფრთხილა—ამ ამოცანის შესრულებისას არავითარი ლმობიერება არ უნდა გამოიჩინოთო.

ალექსიანუმ მოაგონა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღებული მთელი მოსავალი მთლიანად უნდა ჩამოერთვას მოსახლეობას.

რუმინელმა ობერ-მძარცველმა თავისი „საინსტრუქციო სიტყვა" დაამთავრა კატეგორიული მოწოდებით—„არ დაერიდოთ საბჭოთა მოსახლეობას, არავითარი მერყეობა, არავითარი ყოყმანი არ დაუშვათო".

იმასთან დაკავშირებით, რომ ზამთარი ახლოვდება და საჭიროა რუმინეთის ჩამოფლეთილი და ტილიანი არმიის თბილი ნივთებით უზრუნველყოფა, უკვე ახლა მიმდინარეობს ტანისამოსის მასობრივი რეკვიზაცია ოკუპირებულ ტერიტორიაზე. როგორც გაზეთი „უნივერსული" იუწყება, რუმინეთის ჯარის თითოეულმა ნაწილმა ამისათვის სპეციალური ჯგუფები გამოჰყო. მათ საქმიანობას შეადგენს ის, რომ ოკუპირებულ სოფლებსა და ქალაქებში კარდაკარ დაიარებიან და მოსახლეობას პირდაპირ მთელ ტანისამოსს ართმევენ.

საბჭოთა გლეხებს მიწიდან მიერეკებიან, ართმევენ სახლებსა და საკარმიდამო ნაკვეთებს, და მათ რუმინელ ახალმოშენეებს აძლევენ. ჰიტლერელთა გაზეთი „ნოიე ორდნუნგი" იუწყება, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ანტონესკუმ გამოსცა კანონი, რომლის თანახმადაც ის რუმინელი ჯარისკაცები და ოფიცრები, ვინც ბრძოლებში თავს გამოიჩენს, ოკუპირებულ რაიონებში 25 ჰექტარ ფართობ მიწის ნაკვეთებს მიიღებენ.

რუს და უკრაინელ ბავშვებს აკრძალული აქვთ თავიანთი მშობლიური ენების შესწავლა. ოკუპანტები ბავშვებს და მოზარდებს მძიმე იძულებითს სამუშაოზე მიერეკებიან.

უცხოეთის ქრონიკა

8 ოქტომბერს გერმანელებმა სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს და კიდევ დასაჯეს 9 ნორვეგიელი, რომელთაც ბრალად დასდეს ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა საბოტაჟის აქტების ჩასადენად.

• • •

910 ოფიცერი, უნტეროფიცერი, ჯარისკაცი და მეზღვაური, რომლებიც ინგლისელების წინააღმდეგ იბრძოდნენ მადაგასკარზე, მებრძოლი საფრანგეთის ჯარის ნაწილებს შეუერთდნენ.

აგვისტოში სოლომონის კუნძულების მახლობლად ჩაძირულ იქნა ამერიკის 3 მძიმე კრეისერი—„კვინსი", „ვინსენი" და „ასტორია".

• • •

სამხედრო ტრიბუნალმა პრაღაში სიკვდილის განაჩენი გამოუტანა 7 ჩეხს, რომელთაც ანტიგერმანული საქმიანობა ბრალდებოდათ.

• • •

ამას წინათ სამხრეთ აფრიკაში ჩავიდნენ შეერთებული შტატების ჯარები.

13 ოქტომბერი. (საკდესი).

პროფ. პ. ბ. რიაზანოვის დაკრძალვის დღე

პროფ. პ. ბ. რიაზანოვის ნეშტი ბინიდან გადაასვენეს თბილისის კონსერვატორიის დარბაზში, სადაც 15 ოქტომბერს დღის 2 ს. 30 წ. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი.

15 ოქტომბერს, დღის 4 საათზე პროფ. პ. ბ. რიაზანოვის ნეშტს გამოასვენებენ კონსერვატორიის დარბაზიდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი და სპარტაკი — „ალექსანდრე პარხომენკო". დამკვრელი — „მე მიყვარს". კომკავშირელი — „ლენინგრადი ბრძოლაში".

თეატრებში

15 ოქტომბერს: სახოპერა — „ტრავიატა". რუსთაველის სახელობის — „კიკვიძე". მარჯანიშვილის სახელობის — „მეფე ერეკლე". გრიბოედოვის სახელობის — „ინჟინერი სერგეევი". სომხური თეატრი — „ნამუსი". ახუნდოვის სახელობის — „ლეილი და მაჯნუნი". მუსიკალური კომედიის — „ნატვრის თვალი". სანკულტურის — „პირისპირ". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „პატარა მეომრები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

დაკარგულია მცხეთის რაიონის მუხრანის ვეტპუნქტის მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ. 1292

ხაშურის ცხოველთმზადების რაიკანტორის და ხორცკომბინატის თანამშრომლები იუწყებიან ამავე დაწესებულების დირექტორის ამხ. მელიტონ ტაკიძის ძმის
ვასილ ტაკიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. მახარაძეში, 15/X. 1297

ტრესტ „საქტყემომარაგების" თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება
ვაჟიკო ილიას-ძე ნათელაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/X, 7 ს. გამოსვენება 15/X, 5 ს. მარის მეორე ჩიხი № 8. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 1298

საქ. სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება ამხ. ილია ნიკოლოზის-ძე ბუჯაბიძის დედის
ვერა ლუკას-ასულ ბუჯაბიძის
გარდაცვალებას. 1299

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 20.

უე 11009